ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3940901

ნომერი: AR1592442

თარიღი : 13.04.2018

გაცემის თარიღი : 01.05.2018

გაცნობის თარიღი : 08.05.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი, კვირაცხოვლის ქუჩა N83-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ქუჩა კვირაცხოვლის , N 83;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლულუ ზარნაძე პ/ნ 60001019451
- კვირადცხოვლის 83

ორგანიზაცია:
- შპს "მწვანე ქვეყანა" კოდი: 400018850

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 13 აპრილის AR1592442 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.032.689; N01.72.14.032.833; N01.72.14.032.978; N01.72.14.032.985) სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას,

პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთისთვის (ს.კ.:01.72.14.032.833) დადგენილი სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესაბამისად გაიცა მშენებლობის ნებართვა და მოხდა მისი დადასტურება, რაც გულისხმობს რომ დადგენილმა სამშენებლოდ გამოყენების პირობებმა ამოწურა თავისი ვადა და ძალა დაკარგა, შესაბამისად, ვინაიდან ძალადაკარგულ აქტში ცვლილება ვერ განხორციელდება, საჭიროა საკითხი დააყენოთ ახალი სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის კუთხით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2018 წლის 13 აპრილის AR1592442 განცხადება.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.